საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 13 თებერვლის
დადგენილება №872

2012-2013 სასწავლო წელს სტუ-ს
დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს სადოქტორო პროგრამებზე (სოციალური მეცნიერებები და მასობრივი კომუნიკაცია) მიღების პირობები უცხოური ენის ცოდნის ნაწილში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში სპეციალურ საუნივერსიტეტო კომისიასთან;
   აპლიკანტი თავისუფლდება გამოცდისაგან, თუ იგი წარმოადგენს
2. უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური,იტალიური, რუსული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს;
3. განათლების რომელიმე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის უცხოურ ენაზე (ინგლისური. გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული) გავლის დამადასტურებელ საბუთს.

სხდომის თავმჯდომარე ბ. ბოქოლიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე